



ეს მასალები მომზადდა, მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტის ფარგლებში, როგორც „რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტუქტურის განვითარების მეორე პროექტის“ (SRMIDP) შემადგენელი ნაწილი.

„რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტუქტურის განვითარების მეორე პროექტი“-განხორციელდა შვეიცარიის განვითარების სააგენტოს და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით.

სივრცითი დაგეგმვის, აქტივების მართვის და კაპიტალური საინვესტიციო საკითხებზე ტექნიკური მხარდაჭერა განახორციელა ნიდერლანდურმა კომპანიამ „Ecorys b.v.“, ქართულ კომპანიებთან ერთად „PMCG“ და „გეოგრაფიკი“, კონსორციუმის ფარგლებში.

საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში ჩატარდა ტრეინინგები მცირე ჯგუფებში (კლასტერებში) 2017 წლის მარტიდან 2019 წლის ივნისამდე პერიოდში.



## კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის ჩატარებული ტრეინინგების ჩამონათვალი

### (სწავლება 1-11)

კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის სასწავლო გეგმა მოცემულია ქვემოთ.

შესაბამისი ტრეინინგის ფაილი განსხვავებული ფორმატით არის წარმოდგენილი.

წინასიტყვაობა

მოდულარული ტრეინინგი: ზოგადი მიმოხილვა და ტრეინინგების სასწავლო გეგმა

1. ინსტრუმენტები კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვისთვის
2. ინსტრუმენტები კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვისთვის -გაგრძელება
3. კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის პროცედურა
4. პროექტის კონცეფციის ბარათი – პრაქტიკული სავარჯიშო
5. პროექტის კონცეფციის ბარათი – პრაქტიკული სავარჯიშო -გაგრძელება
6. პროექტის კონცეფციის ბარათების შეფასება – პრაქტიკული სავარჯიშო
7. საპროექტო წინადადებები
8. საპროექტო წინადადების შეფასება. ვარიანტების ანალიზი. როგორ შევადაროთ პროექტის განხორციელების გზები.
9. საპროექტო წინადადების შეფასება. ვარიანტების ანალიზი. როგორ შევადაროთ პროექტის განხორციელების სხვადასხვა გზები. საპროექტო წინადადებების შეფასება. დისკონტინება და პროექტის შესრულების ინდიკატორები.
10. საპროექტო წინადადებების შეფასება. ხარჯი-სარგებლის ანალიზი
11. კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის პროექტების შერჩევა

\* პრეზენტაციების მასალების გარდა, ხელმისაწვდომია კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის სახლმძღვანელო



მუნიციპალური შესაძლებლობის განვითარების პროექტი

# კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვა (CIP)

საპროექტო წინადადებების შეფასება. ვარიანტების ანალიზი:  
როგორ შევადაროთ პროექტის განხორციელების სხვადასხვა  
გზები?




რაფალ შპორკო  
ანნა დოროზოვსკა  
რატი გაბრიჩიძე

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების  
ინსტიტუციური შესაძლებლობების გამლიერება  
სივრცითი დაგეგმვის, აქტივების მართვისა და კაპიტალური  
საინვესტიციო გეგმების შემუშავების კუთხით



# CIP პროცედურა - სად ვიმყოფებით?





# პროექტის შეფასება



საპროექტო წინადადებების  
მოსამზადებლად დამტკიცებული  
პროექტების სია

საპროექტო წინადადებები (PP-ები):

- **ახალი პროექტები**
- **არსებული პროექტები** – პროექტების  
კონცეფციის ბარათების განახლება

იმპლემენტაცია და მონიტორინგი  
უწყვეტი პროცესი

პროექტის  
მართვა

ბიუჯეტის  
შესრულება

CIP-ში არსებული პროექტების  
შესახებ ინფორმაციის განახლება:

- გეგმა-გრაფიკი
- რეალური / ფინანსური გეგმა  
ბიუჯეტის შესრულების არსებული  
მდგრამარეობის გათვალისწინებით

ჩასწორებების  
შესახებ  
ინფორმაციის  
გაცვლა და  
დამატებები  
საპროექტო  
წინადადებებში

ჩასწორებების  
შესახებ  
ინფორმაციის  
გაცვლა და  
დამატებები  
საპროექტო  
წინადადებებში

CIP კოორდინატორი აგროვებს მონაცემებს პროექტების შესახებ  
(ახალი და განახლებული პროექტები)

საპროექტო წინადადებების შეფასება

მუნიციპალიტეტის მთავრობა იღებს  
რეკომენდაციებს უახლოესი წლების  
საბიუჯეტო ლიმიტებში არსებული  
პროექტების შესახებ.



მუნიციპალური შესაძლებლობის განვითარების პროექტი

## საპროექტო წინადაღებების შეფასება და რანჟირება

- პროექტების შეფასებისა და რანჟირების პროცესის შედეგად, მრავალი საინვესტიციო საჭიროებების (პოტენციური პროექტების) ნუსხა უნდა "დავიყვანოთ" პროექტების სტრუქტურიზებულ სიაზე, რომელი სიიდანაც საბოლოო ჯამში კაპიტალურ საინვესტიციო გეგმაში შევა საბოლოოდ შერჩეული პროექტები.



საინვესტიციო საჭიროებები  
(პოტენციური პროექტები)



პროექტების სტრუქტურიზებული სია



კაპიტალური საინვესტიციო გეგმა



# ვარიანტების ანალიზი

## რა უნდა გავითვალისწინოთ?

- რა განასხვავებს ვარიანტებს?
  - პროექტის ტიპი (მოცემული ამოცანის გადაწყვეტა)
  - ადგილმდებარეობა (სად ავაშენოთ ახალი ობიექტი)
  - პროექტის სფერო / არეალი
  - პროექტის მასშტაბი (რა ზომის იქნება ობიექტი)
  - გამოყენებული ტექნოლოგია
- ვარიანტების შედარების მეთოდები:

1

SWOT ანალიზი

2

მრავალ  
კრიტერიუმიანი  
ანალიზი

3

ხარჯების ეფექტურობა  
ან DGC (დინამიური  
ღირებულებების(ხარჯების)  
თაობების მოდელი)

4

სრული ხარჯი-  
სარგებლის  
ანალიზი (ENPV)

- ყველაზე მოწინავე მეთოდი არის სრული ხარჯი-სარგებლის ანალიზი, რომელიც ადარებს და გვაჩვენებს ყველა პროექტან დაკავშირებულ ეკონომიკურ ხარჯსა და სარგებელს მონეტარულ (ფულად) ერთეულებში.



# ფაქტორული (SWOT) ანალიზი

## მეთოდის აღწერა

ფაქტორული (SWOT) ანალიზი გულისხმობს ძლიერი მხარეების, სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და საფრთხეების განხილვას.

(SWOT - 'Strengths, Weaknesses, Opportunities and Threats').

აღნიშნული მეთოდი არის გარემოსა და არსებული ორგანიზაციის / ობიექტის აღნიშნულ გარემოს კონტექსტში გაანალიზების საშუალება. ის ასევე შეიძლება გამოვიყენოთ ინვესტიციების განხორციელების სხვადასხვა ვარიანტის შედარებისთვის.





## ვარიანტების ანალიზი მრავალ კრიტერიუმიან ანალიზზე დაყრდნობით როგორ გამოვიყენოთ მრავალ კრიტერიუმიანი ანალიზი?

აღნიშნული მეთოდი გამოიყენება როდესაც ხარჯების / სარგებლის მონეტარულ ერთეულებში გამოსახვა რთულია ან შეუძლებელია, თუმცა აღნიშნული ხარჯები / სარგებელი შეიძლება იქნეს გამოსახული ფიზიკურ ერთეულებში.

აღნიშნული ანალიზი შეფასების პროცესში ითვალისწინებს პროექტთან დაკავშირებულ სხვადასხვა პერსპექტივას (მიზანს).

ეს მეთოდი გვეხმარება პროექტის შეფასებაში ისეთი კრიტერიუმების ჩართვაში, რომელთა ფინანსურ ან ეკონომიკურ ანალიზში გათვალისწინებაც არ არის ადვილი. მაგალითად, სოციალური თანასწორობა, სოციალური მხარდაჭერა, ეროვნული მეკვიდრეობის დაცვა ან გარემოსდაცვითი ასპექტები.

### ვარიანტი A

	ქულა*	წონა	გავლენა
სოციალური თანასწორობა	<b>2</b>	<b>0.6</b>	<b>1.2</b>
სოციალური მხარდაჭერა	<b>1</b>	<b>0.2</b>	<b>0.2</b>
გარემოს დაცვა	<b>3</b>	<b>0.2</b>	<b>0.6</b>
		ჯამი	<b>2.0</b>

### ვარიანტი B

სოციალური თანასწორობა	<b>3</b>	<b>0.6</b>	<b>1.8</b>
სოციალური მხარდაჭერა	<b>1</b>	<b>0.2</b>	<b>0.2</b>
გარემოს დაცვა	<b>2</b>	<b>0.2</b>	<b>0.4</b>

- 0: არ აქვს გავლენა/ 1: მცირედი დადებითი გავლენა/ 2: საშუალო დადებითი გავლენა /  
/ 3: მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა



## სავარჯიშო

მრავალ კრიტერიუმიანი ანალიზის გამოყენება  
(სავარჯიშო 3).



გაუზიარეთ შედეგები ჯგუფის წევრებს.



Word-ის ფაილში მოცემულია/შეასრულეთ სავარჯიშო.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების  
ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება  
სივრცითი დაგეგმვის, აქტივების მართვისა და კაპიტალური  
საინვესტიციო გეგმების შემუშავების კუთხით



## ვარიანტების ანალიზი ხარჯის ეფექტიანობის ანალიზზე დაყრდნობით პროექტის ფაზები. რა ხარჯები გვაქვს პროექტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში?


როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ საინვესტიციო პროექტზე, ჩვენ ხშირად  
გვახსენდება კაპიტალური დანახარჯები. გაითვალისწინეთ, რომ  
უმეტეს შემთხვევაში საზოგადოებრივი ინვესტიციები საოპერაციო  
ხარჯსაც წარმოქმნის.

პროექტის  
მომზადების  
ფაზა

პროექტის  
მშენებლობის  
ფაზა

პროექტის ოპერაციული  
ფაზა = საოპერაციო  
„ჰორიზონტი“

პროექტის  
დახურვა





## ვარიანტების ანალიზი ხარჯის ეფექტიანობის ანალიზზე დაყრდნობით ფინანსური ანალიზი სხვადასხვა სექტორების პროექტების პერიოდი (წლები)

ნარჩენების მართვა – 25

ურბანული ტრანსპორტი – 30

რკინიგზა – 30

საზოგადოებრივი ტრანსპორტის

ინფრასტრუქტურა -25

საზღვაო პორტი და აეროპორტი – 25

ტელეკომუნიკაციის სექტორი – 15

ინდუსტრია – 10

ენერგეტიკა – 25

წყალმომარაგება / საკანალიზაციო სისტემები – 30


სხვა სექტორები -15






## ვარიანტების ანალიზი ხარჯის ეფექტიანობის ანალიზზე დაყრდნობით პროექტის ალტერნატივების სასიცოცხლო ციკლის ხარჯები.

თუ სრულიად შეუძლებელია პროექტის სარგებლის შეფასება, მაშინ შეგვიძლია გამოვიყენოთ ხარჯის ეფექტიანობის ანალიზი. მეთოდი ეყრდნობა სხვადასხვა პროექტების ან პროექტის ალტერნატივების სასიცოცხლო ციკლის ხარჯების ანალიზს.



მთლიანი ხარჯები - ვარიანტი 1



მთლიანი ხარჯები - ვარიანტი 2




## ვარიანტების ანალიზი ხარჯის ეფექტიანობის ანალიზზე დაყრდნობით სასიცოცხლო ციკლის ხარჯები სხვადასხვა სექტორში

კაპიტალური (გრძელვადიანი) აქტივების ექსპლუატაციის და შეკეთების ხარჯები აქტივის „სიცოცხლის“ მანძილზე არათანაბრად არის განაწილებული და დამოკიდებულია აქტივის ტიპზე, გეოგრაფიულ ფაქტორებზე და მართვის კულტურაზე.



მიახლოებითი  
ექსპლუატაციისა და  
შეკეთების ხარჯები  
სხვადასხვა ობიექტებისთვის.  
ვაშინგტონი, აშშ.

წყარო: კაპიტალური  
ინვესტიციების დაგეგმვის  
გზამკვლევი ადგილობრივი  
თვითმმართველობისთვის,  
ოლგა კაგანოვა, მსოფლიო  
ბანკი 2011





## ხარჯის ეფექტიანობა

როდის შეიძლება ამ მეთოდის გამოყენება?

- მეთოდის გამოყენება შეიძლება თუ ვიღებთ ერთი ტიპის შედეგებს
- გამოიყენება პროექტების (ან პროექტის განხორციელების ალტერნატივების) შესაძარებლად.
- ხარჯის ეფექტიანობა იზომება შემდეგნაირად:
  - ყველა ხარჯის ჯამი განხილული პერიოდის მანძილზე (მარტივი მეთოდი)
  - „დინამიური ღირებულებების (ხარჯების) თაობების“ კოეფიციენტი (DGC ratio, სიდიდე რომელიც ითვალისწინებს დისკონტირებას)



## დინამიური ღირებულებების (ხარჯების) თაობების მოდელი

ხარჯი - ეფექტიანობა - დინამიური ღირებულებების (ხარჯების) თაობების კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგნაირად:

$$DGC = \frac{\sum_{t=0}^T \frac{LCC_t}{(1+d)^t}}{\sum_{t=0}^T \frac{O_t}{(1+d)^t}}$$

სადაც,

$LCC_t$  არის პროექტის **სასიცოცხლო ციკლის ხარჯები  $t$  პერიოდში**

$O_t$  არის პროექტის გამოშვება / შედეგი  $t$  პერიოდში

$d$  არის დისკონტის განაკვეთი



# ხარჯი - ეფექტიანობა

## შეჯამება

- პროექტის სასიცოცხლო ციკლის ხარჯები უნდა გაიზომოს მუდმივ ფასებში (ინფლაციის გათვალისწინებით), ეკონომიკური ფასებით.
- აუცილებელია (და საკმარისი) რომ პროექტის გამოშვება გამოვსახოთ ფიზიკურ ერთეულებში.
- ამ მეთოდს შეუძლია მხოლოდ ერთი და იგივე სექტორის პროექტების რანჟირება, გამომდინარე იქიდან, რომ მათი ერთეულები (განზომილებები) ერთი და იგივეა (ერთი და იგივე უნდა იყოს).
- ოპტიმალურია აღნიშნული მეთოდის გამოყენება ისეთ შემთხვევებში როდესაც გამოშვება/სარგებელი ერთია და იდენტიფიცირებადი (და არა მრავალი ან ბუნდოვანი)



## სავარჯიშო

ხარჯის ეფექტურობის გამოთვლა (სავარჯიშო 4).



გაუზიარეთ შედეგები ჯგუფის წევრებს.




Word-ის და Excel-ის ფაილში მოცემულია/შეასრულეთ სავარჯიშო.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების  
ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება  
სივრცითი დაგეგმვის, აქტივების მართვისა და კაპიტალური  
საინვესტიციო გეგმების შემუშავების კუთხით



## ხარჯი-სარგებლის ანალიზი (CBA) - შესავალი

ხარჯი-სარგებლის ანალიზი გულისხმობს პროექტის მიერ საზოგადოებისთვის წარმოქმნილი ყველა ხარჯის და სარგებლის ფულად ერთეულში გამოსახვას. ამასთანავე, დისკონტირების მეთოდის გამოყენებით ხდება ამ ხარჯების, სარგებლის და წმინდა სარგებლის(სარგებელი-ხარჯი) დღევანდელი ღირებულების განსაზღვრა.



ყველა სარგებლის დღევანდელ ღირებულებასა და ყველა ხარჯის დღევანდელ ღირებულებას შორის სხვაობას ეწოდება წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV).

$NPV > 0$  – პროექტი „მომგებიანია“

$NPV < 0$  – პროექტი „წამგებიანია“



# ვარიანტების ანალიზი

## შეჯამება

- ხშირ შემთხვევაში პრობლემის გადასაჭრელად ცოტა ალტერნატივები გაგვაჩნია (პროექტის ვარიანტები / ალტერნატივები). ყველა მათგანის განხილვა უნდა მოხდეს პროექტის მომზადების დასაწყისშივე.
- ყველა გაანალიზებული ვარიანტი უნდა იყოს განხორციელებადი - აზრს მოკლებულია ისეთი ვარიანტის განხილვა რომლის განხორციელებაც რაიმე მიზეზის გამო შეუძლებელია.
- საუკეთესოა ვარიანტი რომელიც ხელმისაწვდომია და აქვს უმაღლესი ხარჯი-სარგებლის მაჩვენებლები. თუ ხარჯი-სარგებლის ანალიზი არ ჩატარებულა, ხარჯის ეფექტიანობის ანალიზი უნდა იქნეს გამოყენებული. ამ შემთხვევაში საუკეთესო ვარიანტია ის რომელსაც გააჩნია უმცირესი ხარჯი ერთეულ გამოშვებულ / მიწოდებულ პროდუქტზე (სასიცოცხლო ციკლის ხარჯების გათვალისწინებით).
- ხარჯის ეფექტიანობის მეთოდი უნდა ჩავანაცვლოთ მრავალ კრიტერიუმიანი ანალიზით ან ფაქტორული (SWOT) ანალიზით როდესაც ხარჯების / სარგებლის რიცხობრივი გამოსახვის საშუალება არ გვაქვს.



მუნიციპალური შესაძლებლობის განვითარების პროექტი

# გმადლობთ ყურადღებისათვის!



საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების  
ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება  
სივრცითი დაგეგმვის, აქტივების მართვისა და კაპიტალური  
საინვესტიციო გეგმების შემუშავების კუთხით

